



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობრეზია



კობრეზია

კობრეზია (*Kobresia*), მცენარეთა გვარი ისლისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი მკვრივკორდოვანი ბალახებია. ცნობილია 40-მდე სახეობა. იზრდება ჩრდ. ნახევარსფეროს ზომიერ და ცივ სარტყლებში, უფრო მეტად აზიაში. საქართველოში კავკასიონის მთავარ ქედზე გვხვდება კ-ის 3 სახეობა (*K. schioides*, *K. capillifolia* და *K. persica*), სამხრეთ მთიანეთში კი – მხოლოდ *K. persica*. *K. capillifolia* დიდ მასივებს ქმნის, მაგ., თრუსოს ხეობაში (სუბალპური სარტყელი). ყოფილ არყნარზე ამჟამად გავრცელებულია მეტად ორიგინალური მდელო, სადაც კოლბოხებზე სახლდება კ., ხოლო ჩაბნევილ არეზე – დრიადი (*Dryas caucasica*). ხშირად ვხვდებით *K. schoenoides*-ს, რ-იც

ითვლება ცხვრისა და ცხენის კარგ საკვებად.

შ. ნახუცრიშვილი
